**ადრესატი:**

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31221229**
თარიღი: **02/05/2022**

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“**

**სხდომის ოქმი N 4**

**ქ. ლანჩხუთი 26.04.2022 წელი**

**15.00 საათი**

**სხდომას ესწრებოდა:** ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე: **კახაბერ ასკურავა.**

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე: **გიორგი გოგუაძე.**

ფრაქციის მდივანი: **ირმა მგელაძე.**

ფრაქციის წევრი: **გივი ცინცაძე.**

**სხდომას ესწრებოდა მოწვეული სტუმრები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი: **შოთა ჩაგუნავა,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: **როლანდ ლაშხია,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი: **გიორგი ნაჭყებია,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი: **ლევან ჩხაიძე,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: **გიორგი ხელაძე.**

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი: **ნინო ჭანტურიშვილი.**

**ფრაქციის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის

საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

3. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში (გარდა სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში მოქცეული ტერიტორიისა) II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი II კლასის დამხმარე ხასიათის შენობა-ნაგებობებისთვის და II კლასის ღობეების მშენებლობისათვის (რეკონსტრუციისათვის) მშენებლობის დეტალური შეტყობინების დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

5 ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

6. ,,სსიპ ქალაქ ლანჩხუთის N3 საჯარო სკოლისთვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენოსანი ვაჟა თოდუას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

7. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

8. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

9. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

10. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ (ს/ნ 233731478) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

11. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2022 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

12. სხვადასხვა საკითხები.

**ფრაქციის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:**

**მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.**

**დღის წესრიგის პირველი საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა, შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმის წარმოებას ახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია, როგორც სამშენებლო საქმიანობაზე საჯარო ზედამხედველობის ორგანო, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მეშვეობით, რომელიც საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო

საქმიანობის კოდექსით” დადგენილი წესის შესაბამისად, ადგენს სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისთვის გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებს. სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას, საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის, შეფასებისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების დროს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური ხელმძღვანელობს საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის” XIV და XV თავებით დადგენილი წესის შესაბამისად. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ სამშენებლო სამართალდარღვევასთან დაკავშირებით განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოებისას საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად შესწავლის საფუძველზე მომზადებული დოკუმენტაციის შესაბამისად, საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი” დადგენილი წესით და ფარგლებში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

**დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.**

**ფრაქციის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:**

**მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.**

**დღის წესრიგის მეორე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ისაუბრა იურიდიული სამსახურის უფროსმა, შოთა ჩაგუნავამ. მან განაცხადა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61–ე მუხლის მე–2 ნაწილისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“–ს 1061–ე მუხლის 1–ლი და მე– 2 პუნქტის შესაბამისად დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა - დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა - დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 1062 –ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

**განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.**

**ფრაქციის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:**

**მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.**

**დღის წესრიგის მესამე საკითხი:** მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ისაუბრა იურიდიული სამსახურის უფროსმა, შოთა ჩაგუნავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ მშენებლობის სანებართვო მოსაკრებელი ახალასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის განისაზღვრება: ა) სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში: ა.ა) სააგარაკე და ინდივიდუალური სახლებისათვის – 4 ლარი; ა.ბ) მრავალბინიანი სახლები, კომერციული დანიშნულების ობიექტები (სასტუმრო, სავაჭრო და გასართობი) – 4 ლარი; ა.გ) სამრეწველო ობიექტი – 5 ლარი; გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge ა.დ) სამკურნალო-გამაჯანსაღებელი, სარეაბილიტაციო პროფილის შენობა-ნაგებობებისათვის – 2.5 ლარი; ბ) ქალაქ ლანჩხუთის ტერიტორიაზე – 4 ლარი; გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სხვა დანარჩენ ტერიტორიაზე – 2,50 ლარი; დ) ხაზობრივი ნაგებობების მშენებლობისათვის მოსაკრებლის ოდენობა 1 (ერთი) გრძივ მეტრზე შეადგენს – 1 (ერთი) ლარს; ე) ისეთი შენობა-ნაგებობის (გარდა ხაზობრივი ნაგებობისა) მშენებლობის შემთხვევაში, რომელსაც არ აქვს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობი: ე.ა) II კლასის ობიექტებისთვის – 50 ლარი; ე.ბ) III კლასის ობიექტებისთვის – 200 ლარი; ე.გ) IV კლასის ობიექტებისთვის – 400 ლარი. დადგენილებით მტკიცდება მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია, სადაც გათვალისწინებულია მოსაკრებლის გადახდის წესი და მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძვლები.

**განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.**

**ფრაქციის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:**

**მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.**

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში (გარდა სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში მოქცეული ტერიტორიისა) II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი II კლასის დამხმარე ხასიათის შენობა-ნაგებობებისთვის და II კლასის ღობეების მშენებლობისათვის (რეკონსტრუციისათვის) მშენებლობის დეტალური შეტყობინების დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ისაუბრა იურიდიული სამსახურის უფროსმა და განმარტა, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 94-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ან მის ნაწილში II კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის ამ მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლება აქვს, მშენებლობის ნებართვის მიღების ვალდებულების ნაცვლად, დაადგინოს მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულება. მერიის მოსაზრებაა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, (გარდა სოფელ მალთაყვიდან მდინარე

სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში მოქცეული ტერიტორიისა) II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი II კლასის დამხმარე ხასიათის შენობა-ნაგებობებისთვის და II კლასის ღობეების მშენებლობისათვის (რეკონსტრუქციისათვის) მშენებლობის ნებართვის მიღების ვალდებულების ნაცვლად დადგინდეს მშენებლობის დეტალური შეტყობინება.

კახაბერ ასკურავა დაინტერესდა, თუ ვისთვის ხდება მშენებლობის გამარტივება, რაზეც შოთა ჩაგუნავამ უპასუხა, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მე-2 კლასს მიკუთვნებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობით დაინტერესებულ გარკვეულ კატეგორიას უმარტივდება სანებართვო პროცედურები, რაც მისი აზრით დადებითად აისახება მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე და ხელს შეუწყობს საცხოვრებელი სახლების ქაოსურად მშენებლობის შემცირებას. მან ასევე აღნიშნა, რომ საკურორტო ზონაში არავისთვის არ ხდება გამარტივება.

**განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.**

**ფრაქციის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:**

**მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.**

**დღის წესრიგის მეხუთე საკითხი:** ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 15 თებერვლის N277 განკარგულებით რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 748000 ლარი, რომელიც ბიუჯეტში უნდა აისახოს, როგორც შემოსავლის, ასევე ხარჯვით ნაწილში. ა(ა)იპ ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციის ცენტრის დაფინანსება შემცირდეს (სუბსიდირების მუხლი, რომელიც მიზნობრივად გამოეყო მეწარმეების განვითარებისათვის) 100000 ლარით და მიიმართოს მუნიციპალიტეტში (ორგ.კოდი 02 11) მეწარმეობის განვითარების პროგრამის განხორციელებაზე. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობისა და მომსახურების“ ცენტრის მომსახურების არეალის გაზრდისა და შესაბამისი სპეცტექნიკის (6 ერთეული) ექსპლოატაციის ჩართვიდან გამომდინარე მიმდინარე წლის დაფინანსება უნდა გაიზარდოს დამატებით 200000 ლარით, მათ შორის: შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე მიიმართება 90000 ლარი, ტრანსპორტის შენახვისა და ექსპლოატაციის ხარჯებზე 110000 ლარი. ამასთან, დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში ორგანიზაციის წინადადებით უნდა შემცირდეს ოფისის მუხლი 2000 ლარით, სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი 4000 ლარით. აღნიშნულის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 6000 ლარით. ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების სისტემის მუშაკთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების მიზნით დაფინანსება გაიზარდოს 78000 ლარით, მათ შორის 74445 ლარი მიიმართოს შრომის ანაზღაურების მუხლში, 3555 ლარი შტატგარეშე მუშაკთა ანაზღაურებაზე. ა(ა)იპ სპორტული ცენტრის მიმდინარე წლის 14 აპრილის N19 წერილის საფუძველზე შემცირდეს შრომის ანაზღაურების მუხლი 29000 ლარით, შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 25000 ლარით და არაფინანსური აქტივების მუხლი 4000 ლარით. განხილული იქნა შპს ფეხბურთის კლუბ „ლანჩხუთის გურია“-ს მიმდინარე წლის 7 მარტის N01-070322 წერილი 250000

ლარის გამოყოფის თაობაზე. განხილვის შედეგად მიზანშეწონილად ჩაითვალა 200000 ლარის გამოყოფა მიზნობრიობის განსაზღვრით. დამატებით 478000 ლარის ოდენობით აღებული ვალდებულებების დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით გაიზარდოს არაფინანსური აქტივების (გაყიდვით) აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლის გეგმა 300000 ლარით, ხოლო 178000 ლარის დაფინანსება განხორციელდეს ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის ხარჯზე.

გიორგი გოგუაძემ დასვა საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ მუნიციპალიტეტში, საფეხბურთო სფეროში არის ძალიან არეული და გაუმართავი სიტუაცია. მან აღნიშნა, რომ 2008 წლიდან 2012 წლის ჩათვლით, საფეხბურთო კლუბზე დაიხარჯა 1200000 ლარი და რეგიონულიდან გუნდი გახდა უმაღლესი ლიგის წევრი, რაც მისი აზრით ბოლო წლების ყველაზე დიდი წარმატება იყო, ხოლო 2013 წლიდან 2021 წლის ჩათვლით 8175000 ლარია დახარჯული და უმაღლესი ლიგიდან გუნდი ისევ არის რეგიონულში. მას მიაჩნია, რომ ძალიან მოუწესრიგებელია სატრანსფერო სიტუაცია და ამიტომაც უნდა არსებობდეს დამცავი მექანიზმი და აღნიშნული თანხის გაცემა უნდა მოხდეს გარკვეული პირობით. მისი აზრით ბაზა, სტადიონი, საფეხბურთო სკოლა და ჩიბათის სკოლა უნდა გაერთიანდეს, ჩამოყალიბდეს ერთიანი სისტემა, რაც გამოიწვევს საფეხბურთო სფეროს გაძლიერებას.

გიორგი გოგუაძემ ასევე დასვა შეკითხვა იმის შესახებ, რომ გაყიდული ქონება თუ არის შემოსავალში ასახული, რაზეც როლანდ ლაშხიამ უპასუხა, რომ ჯერ გაყიდული ქონება არ არის ასახული შემოსავალში, მაგრამ ასახულია ნაშთში.

**დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნის გათვალისწინებით.**

**ფრაქციის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:**

**მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.**

**დღის წესრიგის მეექვსე საკითხი:** ,,სსიპ ქალაქ ლანჩხუთის N3 საჯარო სკოლისთვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენოსანი ვაჟა თოდუას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ, რომელმაც განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა სკოლის სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოზე, სადაც დაფიქსირდა სკოლისა და მოსახლეობის პოზიცია. წევრებმა თანხმობა განაცხადეს სკოლას ოფიციალურად ეწოდოს საქართველოს ეროვნული გმირის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ვაჟა თამაზის ძე თოდუას სახელი. გიორგი ხელაძემ ასევე აღნიშნა, რომ ვაჟა თოდუამ 1988 წელს დაამთავრა ლანჩხუთის N3 საშუალო სკოლა. შემდეგ ჩაირიცხა სამხატვრო სასწავლებელში, შემდეგ კი სწავლა გააგრძელა თბილისის არქიტექტურის საერთაშორისო ინსტიტუტში, საიდანაც მოხალისედ გაეშურა აფხაზეთის ომში. 1993 წლის ივნისში ვაჟა თამაზის ძე თოდუა გმირულად დაიღუპა მერკულაში. იგი წამებით იქნა მოკლული. სიკვდილის შემდეგ გმირობისა და თავდადებისთვის მას გადაეცა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი. გიორგი ხელაძემ აღნიშნა, რომ მზადდება ვაჟა თოდუას ბიუსტიც.

**განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.**

**ფრაქციის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:**

**მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.**

**დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი:** ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ისაუბრა გიორგი ხელაძემ და აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად. დადგენილების მიღების ვადაა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან არაუგვიანეს ორი თვისა.

**განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.**

**ფრაქციის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:**

**მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.**

**დღის წესრიგის მერვე საკითხი:** ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა, გიორგი ნაჭყებიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ,,სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით გადაცემის შესახებ“ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მიმდინარე წლის 14 თებერვლის N1 / 1- 705 ბრძანების შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა მოძრავი ქონება, კერძოდ 4 ერთეული - ნაგავმზიდი, 2 ერთეული - თვითმცლელი და 500 ცალი - 1100 ლიტრიანი პლასტმასის ნარჩენების განთავსების კონტეინერი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს“ (ს/ნ 433649322), მისი წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების უკეთ განხორციელების მიზნით.

**განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.**

**ფრაქციის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:**

**მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.**

**დღის წესრიგის მეცხრე საკითხი:** ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ისაუბრა ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა და აღნიშნა, რომ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში 27.10.46.262 საკადასტრო კოდზე არსებული უძრავი ქონება, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მოთხოვნით შეფასდა (ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ) და დაიყო რამდენიმე ნაწილად, რომელთა

შორისაა 27.10.46.433 საკადასტრო კოდზე არსებული მიწის ნაკვეთი. საკრებულოს განკარგულების ცვლილების პროექტი, მომზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სადაც მიზანშეწონილად მიჩნეულია, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, (ს/კ 27.10.46.433) შემდგომი განკარგვის მიზნით, აისახოს მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და გეგმაში.

**განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.**

**ფრაქციის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:**

**მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.**

**დღის წესრიგის მეათე საკითხი:** ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ (ს/ნ 233731478) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ისაუბრა გიორგი ნაჭყებიამ და აღნიშნა, რომ ,,საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიისათვის ბალანსიდან ბალანსზე, უსასყიდლოდ, უვადო სარგებლობაში საახალწლო დეკორატიული (მოძრავი) ჯიხურების გადაცემის შესახებ“ სახელმწიფო რწმუნებულის ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში 2022 წლის 16 მარტის N31 განკარგულების შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს უვადო სარგებლობაში გადმოეცა მოძრავი ქონება, კერძოდ 3 (სამი) ერთეული (მოძრავი) საახალწლო დეკორატიული ჯიხური, (რომლის ჯამური ღირებულებაა 14100 ლარი). ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული მოძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, გადაეცეს ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებას“ (ს/ნ 233731478) მისი არსებობის ვადით.

**განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.**

**ფრაქციის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:**

**მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.**

**დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხი:** ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2022 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა, ლევან ჩხაიძემ და აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და

კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილების შესაბამისად, მუხლი 1. დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2022 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით დანართის შესაბამისად. მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად; მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი გოგუაძე დაინტერესდა, აკეთის სტადიონს აქვს თუ არა რეალურად შანსი, რომ გაკეთდეს, რაზეც ლევან ჩხაიძემ უპასუხა, რომ აკეთის სტადიონის პროექტი არის მომზადებული და ადგილობრივი ბიუჯეტიდან აუცილებლად გამოიყოფა თანხა დასაფინანსებლად.

გიორგი გოგუაძემ ასევე აღნიშნა, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მთავრობის დადგენილებით, თითოეულ სოფელს აქვს უფლება ისარგებლოს თანადაფინანსების წესით, დაასაქმოს თავისი მოსახლეობა, რაც იგნორირებულია და მხოლოდ ტენდერებით ხდება სამუშაოს შესრულება, რაზეც შოთა ჩაგუნავამ აღნიშნა, რომ ეს საკითხი აუცილებლად გადაიხედება.

**განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.**

**ფრაქციის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:**

**მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.**

**სხვადასხვა საკითხები.**

გიორგი გოგუაძე დაინტერესდა, მერიას აქვს თუ არა ურთიერთობა ადგილობრივი იუსტიციის სახლთან, იმასთან დაკავშირებით, უცხო ქვეყნის მოქალაქემ ხომ არ დაარეგისტრირა ბიზნესი, ან ხომ არ შეიძინა რაიმე უძრავი ქონება, რაზეც გიორგი ნაჭყებიამ უპასუხა, რომ აღნიშნული ინფორმაცია არაა აქვთ, რადგანაც ეს არის პერსონალური ინფორმაცია.

ირმა მგელაძე გამოვიდა ინიციატივით, რომ სოციალურად დაუცველ და შშმ პირების ფოტოების საჯაროდ გამოქვეყნება უნდა აიკრძალოს, რადგანაც ეს არის პერსონალური ინფორმაცია და იმ ოჯახებისთვის ეს არის ძალიან მიუღებელი, რასაც ფრაქციის ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი.

კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ სოფელ ჩოლობარგში, იუსტიციის სახლის წინ არის 1859 წელს აგებული შენობა, სადაც ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გაიხსნა ბიბლიოთეკა. შენობა არის სპეციფიკური და უნდა შენარჩუნდეს მისი ავთენტურობა და აუცილებელია აბრაც განთავსდეს ამ შენობაზე. ლევან ჩხაიძემ განაცხადა, რომ აუცილებლად დააყენებს აღნიშნულ საკითხს.

გიორგი გოგუაძემ განაცხადა, რომ სოფელ ორაგვეში, ყოფილი სკოლის შენობაში, რომელიც არის ისტორიული, სადაც ნოე ჟორდანიამ ჩაატარა პირველი კრება და სადაც შესაძლებელია ოკუპაციის მუზეუმის გახსნა, აუცილებლად უნდა ჩატარდეს რემონტი, რაზეც ლევან ჩხაიძემ განმარტა, რომ არის საუბარი ამ საკითხთან დაკავშირებით და აუცილებლად მოხდება ამ შენობის რეაბილიტაცია, რომლის დაფინანსებაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოხდება.

გიორგი გოგუაძემ გაიხსენა 2015 წელი, როცა მოხდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისის დარბევა. ის დაინტერესდა, დღევანდელი გადასახედიდან როგორ უყურებს ხელისუფლების წარმომადგენლები აღნიშნულ ფაქტს, რაზეც გიორგი ხელაძემ უპასუხა, რომ ეს იყო ამაზრზენი ფაქტი და ამას არა აქვს არანაირი გამართლება.

გიორგი გოგუაძე გამოვიდა ინიციატივით, რომ შემდეგ ფრაქციის სხდომაზე მოიწვიონ სოციალური მომსახურების სააგენტოს ლანჩხუთის რაიონული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ეკა წილოსანი, რათა დეტალურად განიხილონ 01 აპრილიდან სოციალურად დაუცველთა დასაქმების პროგრამით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რა ვაკანსიებია და სულ რამდენი ადამიანია დასაქმებული, რასაც ფრაქციის წევრებმაც დაუჭირეს მხარი.

კახაბერ ასკურავა მიიჩნევს, რომ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებაში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მერაბ ქარჩავას დანიშვა არის მუნიციპალიტეტის მერის უდიდესი შეცდომა, რასაც ფრაქციის ყველა წევრი იზიარებს.

**ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.**

კახაბერ ასკურავა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-
საკრებულოს ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

**26.04.2022** წელი
**15:00** საათი

| | სახელი, გვარი | გამოცხადების დრო | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| 1 | კახაბერ ასკურავა | 14.50 | |
| 2 | გიორგი გოგუაძე | 14.45 | |
| 3 | ირმა მგელაძე | 14.52 | |
| 4 | გივი ცინცაძე | 14.55 | |